

30 წლის წინ, 1978 წლის 14 აპრილს, ქართველმა ერმა აიძულა ადგილობრივი მარიონეტული და საკავშირო ხელისუფლება დათმობაზე წასულიყო და კონსტიტუციაში დაეკოვებინა მუხლი სახელმწიფო ენის შესახებ.

მუხელავად კონსტიტუციის საბჭოური ხასიათისა, მასში ქართული ენა, საქართველოს ტერიტორიაზე, კვლავ ინარჩუნებდა სახელმწიფო ენის სტატუსს.

ყოველ 14 აპრილს ქართველი ერი დედაენის დღეს აღნიშნავს.

თსუ ფილოლოგიის შაკ-ის სტუდენტთა საერთო კრების ოქმი

1978 წლის 6 აპრილს ჩატარდა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრება. კრებას ესწრებოდნენ: 540 სტუდენტი, თსუ პარტიული კომიტეტის მდივანი პროფ. რ.გორდემიანი*, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი პროფ. ე. ხინთიბიძე, დეკანის მოადგილეები: დოც. თ. სანიკიძე და დოც. პ. ცხადაია, ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანი დოც. ვ. იმნაიშვილი, პარტბიუროს მდივნის მოადგილე ს. მელიქიძე, მეცნიერული კომუნიზმის კათედრის პროფესორი ვ. ბურდული და ფაკულტეტის სხვა პროფესორ-მასწავლებლები.

კრების თავმჯდომარე: ვ. მაღლაფერიძე.
მდივანი: დ. თვალთვაძე.

დღის წესრიგი:

1. საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის განხილვა.

მ ო ს მ ი ნ ე ს: მოხსენება საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **პაატა ვეშაპიძემ**, ფილოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს ახალი სსრ კონსტიტუციის მიღება არის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა რესპუბლიკის ცხოვრებაში. მთელ ქართველ ხალხთან ერთად ჩვენი

*იმ პერიოდისთვის თსუ პარტიული კომიტეტის მდივნის თანამდებობა სკკპ რაიონული კომიტეტის (რაიკომის) მდივნის თანამდებობას უტოლდებოდა.

სტუდენტობაც ძირითადად იწონებს საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტს. ამხ. პ. ვეშაპიძემ აღნიშნა, რომ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია კონსტიტუციის პროექტის იმ მუხლმა, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, რომ საქართველოს სსრ არის სუვერენული რესპუბლიკა და უფლება აქვს დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობანი სხვა ქვეყნებთან. მაგრამ ამასთანავე მან აღნიშნა, რომ როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მომავალ სპეციალისტს, როგორც საბჭოთა მოქალაქეს გაუჩნდა რამდენიმე შენიშვნა კონსტიტუციის პროექტის იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ენის საკითხს. ამჟამად მოქმედ კონსტიტუციაში 156-ე მუხლში ჩაწერილია, რომ “საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული ენა. საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ნაციონლური უმცირესობებისთვის უზრუნველყოფილია უფლება თავისუფალი განვითარებისა და დედაენის ხმარებისა, როგორც თავის კულტურულ ისე სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში.” საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტში ეს პუნქტი შეტანილი არაა. ამასთანავე, არის ახალი პუნქტი სუვერენობის შესახებ. ამხ. პ. ვეშაპიძემ გამოთქვა აზრი, რომ აღსდგეს ახალ კონსტიტუციაში ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის 156-ე მუხლის I პუნქტი ან კონსტიტუციის პროექტის 75-ე მუხლს მიეცეს ისეთი ფორმულირება, რომელიც ზოგადად მაინც წარმოაჩენს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

მარინა მენაბდიშვილმა – III კურსის სტუდენტმა აღნიშნა, რომ ჩვენ ფილოლოგები ვართ და ამიტომაც გასაკვირი არაა თუ ჩვენთვის კონსტიტუციის განხილვის დროს ძირითადი საკითხი ენის საკითხია. მან აღნიშნა, რომ განვითარებული სოციალიზმის პირობებში სახელმწიფო ენა არ შეიძლება შეიცავდეს სხვა ენების შემზღუდვის და შევიწროვების შესაძლებლობას. ჩემის აზრით, თქვა ამხ. მ. მენაბდიშვილმა, კონსტიტუციის პროექტის X თავში, სათაურში უნდა იქნეს შეტანილი შესწორება შემდეგნაირად: “საქართველოს სსრ ენა, პიში, ღერბი, ალამი და დედაქალაქი”. ამასთანავე 75-ე მუხლში შეტანილ იქნეს ასეთი პუნქტი “საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.”

ნიკოლოზ სანებლიძემ – IV კურსის სტუდენტმა აღნიშნა, რომ სტუდენტთა ეს კრება გარდება უადრესად დიდმნიშვნელოვან დროს, როცა ვიღებთ განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციას. ჩვენი კონსტიტუცია არის საუკეთესო მსოფლიოში, ჩვენ გვაქვს მინიჭებული დიდი უფლებები, მათ შორის კონსტიტუციის განხილვის უფლებაც. კონსტიტუციის პროექტის 75-ე მუხლთან დაკავშირებით მან გაიხსენა ლენინის სტატია “საჭიროა თუ არა სახელმწიფო ენა”, რომელიც

1914 წელს დაიწერა და აღნიშნა, რომ თუ I მსოფლიო ომის წინა პერიოდში ლენინს არ მიაჩნდა საჭიროდ სახელმწიფო ენის არსებობა, ახლა, განვითარებული სოციალიზმის პირობებში, როცა ერთი ერის მიერ მეორე ერის ჩაგვრა გამოირიცხულია სახელმწიფო ენის ცნების შემოტანა აუცილებელია. ამიტომ, აღნიშნა ნ. სანებლიძემ, საჭიროდ მიმაჩნია შეტანილ იქნეს კონსტიტუციის პროექტში მუხლი ქართული ენის საქართველოს სსრ სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ, ამასთანავე ამას უნდა დაემატოს პუნქტი, სადაც ახსნილი იქნება, რომ სახელმწიფო ენა არ გულისხმობს სხვა ენების შემზღვევას და შევიწროებას.

ვასილ მაღლაფერიძე – III კურსის სტუდენტმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აუცილებელია სახელმწიფო ენის არსებობა, რადგანაც როგორც არ უნდა ვეცადოთ ენათა გარკვეული სიმრავლიდან ყოველთვის ამოტივიტივდება ერთი ენა, რომელიც სახელმწიფო ენის ფუნქციას შეასრულებს. რომელი ენა უნდა იყოს საქართველოში ასეთი ენა? – რა თქმა უნდა, ქართული, რადგან ის არის საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ენა და ამასთანავე ყველაზე ხელმისაწვდომი ენა. ამიტომ ვ. მაღლაფერიძემ გამოთქვა აზრი, რომ მოხდეს ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის 156-ე მუხლის აღდგენა და ქართული ენა გამოცხადდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ენად. თუ ქართული ენა არ იქნება სახელმწიფო ენა, მაშინ მას უნდა მიეცეს ფორმულირება როგორც რესპუბლიკის ენა.

რისმაგ გორდემიანმა – თსუ პარტიული კომიტეტის მდივანმა აღნიშნა თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობის ფაქტია ახალი კონსტიტუციის მიღება. კონსტიტუცია მიიღებს კანონის უფლებას მხოლოდ საერთო სახალხო განხილვის შემდეგ. მან აღნიშნა, რომ კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებასთან ერთად გამოქვეყნდა მისი განხილვის წესიც, რადგან განხილვა შეიცავს დისკუსიის მომენტს, როცა ყველას შეუძლია თვალი ადევნოს ორაგორის არგუმენტაციას. პროფ. რ. გორდემიანმა სტუდენტებს მისცა განმარტება კონსტიტუციის პროექტის ზოგიერთ მუხლებთან დაკავშირებით.

მან აღნიშნა, რომ ჩვენ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ეროვნული ენა და სახელმწიფო ენა. ეროვნული ენის არსებობას არავინ არ უარყოფს. იგი იარსებებს განუსაზღვრელად, ხანგრძლივად და ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი მის განვითარებას. მაგრამ სახელმწიფო ენის ცნება კი არ არის შეტანილი არც სსრ კავშირის კონსტიტუციაში, არც რსფსრ-ს კონსტიტუციაში და არც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციათა პროექტებში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენში არის ენობრივი ინდეფერენტიზმი. საბჭოთა კავშირში, რომელშიც არის ათეულობით სხვადასხვა ენა,

დიდი და პატარა ენები, სახელმწიფო ენის შემოღება ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ენად გამოცხადებული ენა თავის თავში შეიცავს შესაძლებლობას სხვა ენების შევიწროებისა. ამიტომ სსრ კავშირის კონსტიტუციაში სახელმწიფო ენის ცნება არ არის და იგი შეცვლილია 116-მუხლში ფორმულირებული მოკავშირე რესპუბლიკის ენის ცნებით. ეს არის ის ენა, რომელზედაც გამოდის კანონები რესპუბლიკაში, ენა იმ მოსახლეობისა, რომელმაც რესპუბლიკას მისცა სახელწოდება.

პროფ. რ. გორდეზიანმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტებზე, კათედრებზე გამოითქვა სხვადასხვა აზრი კონსტიტუციის პროექტის ამა თუ იმ მუხლში შენიშვნის შეტანის თაობაზე. ყველა ეს წინადადება, მათ შორის ამ კრების დადგენილებაც განხილულ იქნება სესიაზე, რომელიც მიიღებს საქართველოს სსრ ახალ კონსტიტუციას.

თამარ მახარობლიძემ – II კურსის სტუდენტმა აღნიშნა, რომ საქართველოში აუცილებლად უნდა იყოს ქართული ენის პრიორიტეტი სხვა ენებთან შედარებით.

რუსუდან ლორთქიფანიძემ – ქურნალისტიკის განყოფილების III კურსის სტუდენტმა აღნიშნა, რომ კონსტიტუციის პროექტის 43-ე მუხლში წერია: "სკოლაში სწავლება უზრუნველყოფილია დედა ენაზე." ხოლო შემდეგ 75-ე მუხლში წერია, რომ უპირატესობა არ ეძლევა არც ერთ ენას. ხომ არ არის საჭირო, რომ კონსტიტუციის პროექტს დაემატოს პუნქტი იმის შესახებ, რომ უმაღლეს სასწავლებლებშიც სწავლება უზრუნველყოფილი იყოს დედა ენაზე.

ვ. ბურდულმა, მეცნიერული კომუნიზმის კათედრის პროფესორმა განმარტა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში დედა ენაზე სწავლების უზრუნველყოფის შესახებ ლაპარაკი შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როცა უმაღლესი განათლება იქნება სავალდებულო, როგორც დღეს არის საყოველთაო-სამუშაო განათლება.

თამაზ ვასაძემ, IV კურსის სტუდენტმა აღნიშნა, რომ ყველა გამომსვლელის აზრი ერთია: 75-ე მუხლში ქართული ენის სტატუსი უფრო უკეთ უნდა გაფორმდეს და გამოიკვეთოს. მან აგრევე აღნიშნა, რომ სტუდენტები მაღლობას უცხადებენ პროფ. რ. გორდეზიანს, რომელმაც განმარტა კონსტიტუციის პროექტის ზოგიერთი მუხლი და ამით სინათლე შეიტანა ზოგიერთ საკითხში. მაგრამ ჩემის აზრით, თქვა მან, კონსტიტუციაში მაინც უნდა იყოს გამოკვეთილი ეროვნული ენის უფლებები, თუნდაც იმიტომ, რომ არავის არ ქონდეს საბაბი ილაპარაკოს სსრ კავშირში ეროვნული უმცირესობის ჩაგვრის შესახებ. თ. ვასაძემ აღნიშნა, რომ ქართველ ხალხს არასოდეს დაუშურებია ძალა სოციალიზმისათვის ბრძოლაში და კონსტიტუციის მიერ ქართული ენის უფლებების აღიარება, მისი განმტკიცება უკეთეს

აგმოსუფროს შექმნის. მე ვფიქრობ, თქვა ამხ. თ ვასაძემ, რომ ჩვენმა კრებამ უნდა შეიტანოს შესწორება კონსტიტუციის პროექტში ასეთი სახით: „საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.“

ნოდარ გრიგალაშვილი – III კურსის სტუდენტმა აღნიშნა, რომ კონსტიტუციის პროექტის 75-ე მუხლი უფრო გასაგები გახდა მას შემდეგ, რაც პროფ. რ. გორდემიანმა ზოგიერთი განმარტება მისცა სტუდენტებს. ამ განმარტებითაა მოსმენის შემდეგ კონსტიტუციის ეს მუხლი ჩვენთვის გამართლებულია, მაგრამ ემოციურ მიმართებასაც აქვს მნიშვნელობა. ყველა რესპუბლიკაში, აღნიშნა მან, იურიდიულ კანონებში გათვალისწინებულია, რომ პატივი ვცეთ ამ რესპუბლიკის წესს, ადათს, ამიტომაც ღვება ცალკე რესპუბლიკის სამართალი, რომელიც ითვალისწინებს ამ რესპუბლიკაში მოსახლე ეროვნების ისტორიას, ფსიქიკას და სხვ. ქართველი კაცის სულში არის ინტერნაციონალიზმი. ქართველებს არ ახასიათებთ სხვების ჩაგვრა, ამას, თქვა ამხ. ნ. გრიგალაშვილი ისტორიაც აღასტურებს. სომხეთის სსრ-ში სომხური ენა რომ არ გამოცხადდეს კონსტიტუციით სახელმწიფო ენად, სომხური მაინც იქნება იქ სახელმწიფო ენის როლში, რადგან მოსხლეობის 99% სომეხია. საქარველოში კი, სადაც 80-ზე მეტი ეროვნება ცხოვრობს თუ ქართული ენა კონსტიტუციით არ გამოცხადდა სახელმწიფო ენად, ჩვენის აზრით, თქვა მან, მას საბრთხე ექმნება. ჩვენ გვეშინია რა იქნება მომავალში.

გიად ნოდამ – III კურსის სტუდენტმა, აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ ახალ კონსტიტუციაში უნდა ეწეროს: „საქართველოს სსრ ეროვნული ენა არის ქართული ენა,“ რადგანაც ენა არსებითად განსაღვრავს ერის არსებობას. „რა ენა წახდეს, ერი ღაეცეს.“

გბურღულმა, მეცნიერული კომუნიზმის კათედრის პროფესორმა მოიწონა, რომ ჩვენი სტუდენტები სწავლობენ კონსტიტუციას და მომზადებულიც არიან საამისოდ.

ელგუჯა ხინთიბიძემ, ფილოლოგიის ფაკულტეტის ღეკანმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ყველა კრება ჩაგარღა იმისათვის, რომ ყველა შენიშვნა ღა წინაღაღება საქართველოს სსრ საკონსტიტუციო კომისიაში წავიღდეს ოფიციაღური გზით, მათ შორის ღღეღანღელი კრების ღაღგენიღებაც, რომ მასაც მიეცეს ისეთივე მსჯეღობა, როგორც უნივერსიტეტში გამოთქმულ სხვა ნებისმიერ აზრს.

სტალინბური ფუნაგორიები 14 აპრილის თემაზე
(1978 წელი)

* * *

სამშობლოს გულს რომ სისხლი სდიოდა,
ყველა ქართველი როცა ტიროდა,
როს რუსთაველზე გოგო-ბიჭების ზღვა მოდიოდა,
ცეკვას ჯუნგლებში განაბული ისხდნენ ჯუჯები
და უსკლებოდათ შიშით გულები.

* * *

მურმან ლებანიძეს ქვაშარილი გამოლევია,
ბევრ კარგში თითო-ოროლა ცუდი გამორევია,
გარდასული სიყვარულის გამო ელიან,
ვაკაკურ სიტყვას მისგან აღარ გამოელიან,
ნუთუ მთელია ლებანიძე, მაინც მთელია?
საქართველოში ნუთუ ისევე მასპინძელია?
მურმან ლებანიძეს ქვაშარილი გამოლევია.

* * *

დაჭრილი დედასამშობლო გირის,
დასჭირდებიან მახვილს ლეკვები.
ნიშნინანიძე ბუჩქიდან ყვირის –
„არ მეშეგებით, არ მეშეგებით!“

* * *

ხიდისთაველო ქანქარა,
ორპირი გეთქმის, მაშ სხვა რა?
მწერალო შაყირიკოსო,
ელიკას ტაკიმასხარა.

* * *

ყორღანოვების ჯილაგო,
გაქსუებულო ხარაძე,
ენა გვექნება მანამდე
თოვლი დევს ბებერ შხარაზე,
შენს საგინებელს აკუნებთან
შვილებს ეტყვიან ქალები;
აფსუს, ჩვენს მშენს რომ უყურებს
შენი მიმქრქლი თვალები.

* * *

„დედაო ენის“ ავტორო,
შედრკი, არ უნდა ჩიხინი.
ხომ შეურთო იმათ ხმას
შენი ერთგული ხლიჩინი.

* * *

ბევრი პრემია იშოვა,
თუმცალა ბევრი გამაზა.
ტელევიზორში ბევრი თქვა,
სიტყვები ლამაზ-ლამაზა.
მამულის სანაცვალეზლად
თავიც კი შემოგვთავაზა,
ბრძოლის დროს ბუჩქებში შეძვრა
მელღებიანი ავაზა.

ჯანსუღ ჩარკვიანი

* * *

ვაქკაცს ჰგავს, თუმცა ბატონებს
თავს ფეხქვეშ მონად აგებებს,
თუ დასჭირდება ღვიძლ შეილსაც
თავზე დაასხმს კვბ-ს.

რეზო ჩხეიძე

* * *

ღელავს ფილოლოგების
წარბა ღეკანი.

- ხომ არ ექნება კონსტიტუციას დამატებანი?
- ხომ არ გვესვრიან ნეტავი?
- ხომ არ მოდიან ნეტავი?

* * *

მეტი რა გიყოს შევარდენიჩმა,
გადაგიწყვიტა ორი დიღემა –
შენ მდივნად დაგსვა,
ხოლო შენი ძმა – გაამინისტრისმოადგილევა.

ჯანსუღ ჩარკვიანი

* * *

მოავლინეს ლიდერები „გარღვევათა უბანზე“,
მიქელაძე, ჩხარტიშვილი, ჩარკვიანი, ლუმბაძე,
ყველამ ერთად ჩაისვარა,
ჩამოაკლდათ ღუმეზე.

* * *

...ნეტავი ეს გარღვევები, ხომ არ გვიბამს ზიანს?
აღექსიძე ეკითხება რისმაგ გორღეზიანს.



*ინგა ბავაშვილი
ნიწო ქაღაბიძე*

“რა ენა წახლეს,ერი დაეცეს”...

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა სტუდენტ-მაგისტრანტთა კლუბი - “ჩვენ”.

ა.წ-ის 28 მარტს “ჩვენ” ჩავატარეთ ლექცია-საუბარი თემაზე “რა ენა წახლეს,ერი დაეცეს”... თუ რამ გამოიწვია ჩვენი აღშოთება ქართულ ენასთან დაკავშირებით ალბათ აღვიღად მიხედვით, რადგან კომუნისტური ტოტალიტარიზმისა და მრავალწლიანი რუსიფიკატორული რეჟიმის ღროსაც კი, არავის ახსოვს ენა ასე წახდენილი და შეურაცხყოფილი, როგორც დღეს არის. მიგვაჩნია, რომ ამ ყველაფერში უდიდესი „წვლილი“ ტელევიზიასა და მას-მედიას მიუძღვის. დაუღევარი დამოკიდებულება ენისადმი, გამეჩხერებული სიტყვების მარაგი, მიუტყვევებელი გრამატიკული შეცდომები, ყველაზე მკაფიოდ, სწორედ ტელე-რადიო მაუწყებლობი-დან და პრესიდან აისახება.

ის, რომ ენა ცოცხალი ორგანიზმია, განვითარებასა და განახლებას საჭიროებს, რა თქმა უნდა “ჩვენც” ვეთანხმებით. ენა აუცილებლად უნდა შეიფოს სხვა ენებისაგან ნასესხები სიტყვებით და განახლდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეწყვეტს არსებობას და ცხადია, ამის მომხრენი არ ვართ, მაგრამ კურნალისტი, რომ ტელე-კამერის წინ გამართული ქართულით უნდა საუბრობდეს, ეს აუცილებელია. არ შეიძლება საზოგადოებას ვესაუბროთ: “ფაქტიურად”, “საქმე იმაშია”, “ყველა ჩვენთაგანი”, “კარებები”, “განხილულ იქნა”, “რამოდენიმე წლის უკან”, “ჩემს გვერდით”, “მაღლობა მოვუხადეთ” და.ა.შ...

ასევე, ქალაქის ქუჩებში, თვალს უხეშად ხვდება არა ქართული სიტყვებით აჭრელებული მრავალი მაღაზიის წარწერა თუ სარეკლამო აბრა, მაგალითად: “ლაქშერ ქარს”, “პრემიანი”, “მამერკული”, “მზა პენტჰაუსები და ბინები”, “სპონჯობი”, “სპორტ ლენდი”, “იუნაითიდ ქალარზ ოვ ბენეგონი” და მრავალი სხვა. ამ სახელწოდებების კითხვისას მახსენდება მუხრან მაჭავარიანის სიტყვები: “მარტო წვიმას, აქვს სახელი ცხრა”-ო, ჩვენ კი სამწუხაროდ ერთი, კარგად გამართული ქართული სახელწოდება ვერ მოვიფიქრეთ, დანარჩენ რვა სახელს ვინდა ჩივის...

შეიძლება, არ შობილა ჯერ მეორე ილია ჭავჭავაძე ან კონსტანტინე გამსახურდია, რომ გვასწავლოს მარბაზნის ნაცვლად

- ქვეყნის, მაგრამ ქართველად და საქართველოში დაბადებულებმა უნდა ვეცადოთ დავიცვაოთ და გავწმინდოთ ჩვენი ქართული ენა სარეველა მორეული სიცყვებისაგან...

ხომ შესაძლებელია უცხო სიცყვის ნაცვლად საუბრისას გამოვიყენოთ ქართული შესატყვისები, მაგალითად: მეღლის ნაცვლად - ბარათი ან წერილი, მესიჯის ნაცვლად- შეგყობინება, დიჯეის ნაცვლად- წამყვანი და ა.შ...

“სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის მეცადინეობა ყოველი ჩვენგანის ვალია, რათა “ივერი აღდგეს ძლიერი და დადგეს ერად სხვა ერთა შორის, წმიდით საყდრით, ერთ მდიდარით, სწავლისა შუქით განათლებული!” “ეს სიცყვები ეხება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს, როგორც სულიერს, ისე მატერიალურს და პირველ ყოვლისა ეს ეხება ქართულ ენას”.

წლების წინ, თუ მხოლოდ რუსულმა ენამ, ახლა უკვე ინგლისურმა, გერმანულმა, თურქულმა და სხვა ენებმაც შემოუტეეს და საღღესო განუკითხაობის წყალობით სლაფურისგან გვარიანად დანაგვიანებულ ქართულში მოძალებულად ცდილობენ დამკვიდრებას.

გულსატკენია, რომ ერის საარსებო აუცილებელ საფუძველის ამ შეგნებულსა და დამანგრეველ ქმედებას, ქართული ენის ამგვარად შერყენას არავინ აქცევს ყურადღებას და დანაშაულებრივი გულგრილობით შევეყურებთ არსებულ ვითარებას, ვისმენთ მიუღებელსა და დაუშვებელს.

არ გვეგონოთ ეს ჩვენი ახირებაა, უაზრო ჭირვეულობაა, პირიქით ყველა ცივილიზებულსა და განვითარებულ ქვეყანაში უპირველესად სახელმწიფო ენად აღაირებულს ანიჭებენ უპირატესობას, მასზე მეტყველებას აუცილებლობად უყენებენ იქ სამოსახლოდ ჩასულთ, მისით ნათლავენ ყველანაირ საწარმოსა და დაწესებულებას, ფირმას, კორპორაციას, კონცერნს, ნაწარმს... ასეა, ყველას თავისი ურჩევნია და მის სულ მცირედ აუგად ხსენებას, უდიერად მოპყრობას არავის აპატიებენ, ჩვენში კი ბევრმა დაივიწყა ოდითგან ჭკვიანურად ნათქვამი: “სხვის ბაღში თურამაჟის დარგვას, საკუთარში მაჟალოს დათესვა გერჩიოს”.

სწორედ, რომ საკუთარი უნდა ვარჩიოთ სხვისას, მით უფრო ენის მხრივ:

“დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე
მეორედ მოსელისა მესიისა საწამებლად,
რათა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამით ენითა.
და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე,
და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან!“

ქართული ასოს მოხაზვა დიდი ხელოვნებაა, ქართული ენის ყოველი ასო „ღეროვან ასოთა ლეგიონი“ მოგეხსენებათ დიდი

ბრძოლით, გარჯით, ჯაფითა და სისხლით დაწერილი ცინცხალ-ცინცხალი ჩაგვებარეს ჩვენმა წინაპრებმა და ჩვენ? ჩვენ კი როგორ ვუვლით და როგორ ვუფრთხილდებით? მხოლოდ მაღაზიებისა და სარეკლამო აბრების წარწერები კი არ არის არაქართულად აჭრელებული, ჩვენი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოებიც, ახალგაზრდებისა და მომავალი თაობის მიერ ლათინური ასოებით მოთხუპნულნი შემოგვცქერიან.

მეგყველება შევიბილწეთ, ქართულად ამროვნება დავიხშეთ და ყველაფერს უცხოურს ფართოდ გავუღეთ კარი. რამ გადაგვარჩინოს? უწმინდისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იალია მეორის ქადაგებებიდან ვისმენთ პასუხს ამ შეკითხვაზე: “ქართული ენა - ეს არის მუსიკა, მაგრამ არა მიწიერი, არამედ ზეციდან გარდამოსული სულიერი მუსიკა! იგია ჩვენი ერისა და ქვეყნის გადამრჩენი!”

ქართული ენა, იმდენად მდიდარია, შინაგანი თვისებებით შეიძლება ითქვას, იგი მსოფლიო ენაა. ამ სიტყვებს ამოწმობს არა ერთი უცხოელი მკვლევარიც.

პროფესორი რიჩარდ მეკელიანი, ქართველოლოგი, ასე ამბობს ქართული ენის შესახებ: “გამოხატვის საშუალებით ქართული ენა მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესია, ის არც სიტყვის მარაგით ჩამოუვარდება ყველაზე უფრო განვითარებულ ენებს.”

მარჯორი უორდროპი: “ქართული ენა შესანიშნავად ემორჩილება რიტმსა და რითმას. საქართველოში თითქმის ყველა ადამიანი ბუნებით მეღეჭსეა.”

რუსი ენათმეცნიერი პ.კ. უსლერი: “ქართული ანბანი უკლებლივ აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რაც საერთოდ ანბანს მოეთხოვება. იგი არის ყველაზე სრულყოფილი ანბანი ანბანთა შორის. ყოველი ბგერა გამოიხატება ცალკეული ნიშნით, ყოველი ნიშანი მუდამ ერთი და იმავე ბგერის გამოხატველია.”

ნიკო მარი: “ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდარა ენით. ამრიგად არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რუსეთის ან დასავლეთის ევროპისა, რომ არა თუ ქართულმა სავსებით ვერ გამოსთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოსხას. ქართული ენა, განსაკუთრებით, ცოცხალი ქართული ენა, მაღალმხატვრულად გამოხატავს ყოველ ამრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს, ისე მდიდრულია ქართული ენა”

ყოველი ასო, ქართველი ერის ბუნებას, ხასიათს, მნეს და წარსულს მოგვაგონებს. ქართული ენა ისტორიაა ერისა. სწორედ ამიტომაც ამბობს კონსტანტინე გამსახურდია “ანბანთქებაში”: “ანი

ნამგლისათვის მიუხვავებსამიწის მოყვარულ ქართველ ხალხს, ბანი ყელმოდერებულ სურებს, ღოქებს ან ჭინჭილებს არ გავს? განილაგვინებსა და ჭურებს (ღვინის მოყვარული ხალხის მოგონილია უთუოდ) დ, ყ, ლ, ღ- წათებს, წერაქვებს და ჩაქუჩებს - ეს მელთონეთა და რვალის ხუროთა მიერ არის მონაგონი ალბათ. ენის, სანის, ხარის, ვანის, თარის, წილის, ჭარის კლერტოები ლეკურებს, ხმლეს, სატევრებს, წათებს და ხელშუბებს მოგვაგონებს... აჰა, მოლიან ღეროვანი ასოების ლეგონები, ჯ და ჭ -ს მარყუკები ვაზისაღმი სიყვარულის ანარეკლია, კლერტო რაესი მონადირე ტომისაღმი ტრფიალს გამოხატავს, ირმებისა და ჯიხვების რქებისაღმი ტრფიალს . ეს თავმოდრეკილი ღონები, ლასები, ღანები - ჩვენს გუთნებს, აჩაჩებსა და კავებს მოგვაგონებს, ხოლო ინი - პირწავარდნილი ნალია ცხენისა, სწორედ ამ ასოების მზერისას ხმიანდება ჩემს გულში სახე, ფერი და მოძრაობა"-ო. ღღეს კი თანდათან ვკარგავთ ქართული ასო-სიგყვების სახესაც, ფერსაც და მოძრაობასაც.

წმინდა ილია მართალი ამბობს: სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩენია ჩვენ მამა-პაპათაგან, მამული, ენა , სარწმუნოება. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს “. XIX საუკუნის ქართველ სამოციანელებს ქონდათ დიდი უნარი და შესაძლებლობა ებრძოლათ რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული ენის ამოძირკვასა და ქართველების გადაგვარება-გარუსებას, ახლა, მართალია, ძალადობა არ შეიმჩნევა დიდი ერებისაგან, მაგრამ მოქმედებს ეკონომიკური ინტეგრაცია და ქართულ ენაში საკმაოდ შემოიჭრა და მკვიდრდება მიუღებელი სიგყვები თუ გამოთქმები, ასევე უცხო ენებიდან პირდაპირ ნათარგმნი ქართულ საზოგადებაზე ცუდ გავლენას ახდენს. გულის ტკივილით აღვნიშნავთ, რომ ჩვენმა გულგრილობამ და დაუღვერობამ შეიძლება დიდი მიანი მიაყენოს არა მარტო ქართულ ენას, არამედ ქართულ ცნობიერებას. ჩვენი მიზანია, ხმა ავიმაღლოთ ქართული ენის დასაცავად სიყვარულით და არა მტრობით, ვამხილოთ ყოველი არასწორი სიგყვა თუ გამოთქმა და ვაუწყოთ ყველას ჩვენს სიმდიდრესა და განძზე, ბერისთვის მიუწვდომელსა და ვერ მოპოვებულზე.

“ქართული, მარტო ენაა?!

ქართული ქართველთ რწმენაა,

ღმერთია, ბედისწერაა,

ზღვა როა, იმოდენაა! “